საქართველოს მთავრობის

დადგენილება №198

2016 წლის 22 აპრილი

ქ. თბილისი

„ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქტების ექსპორტის დროს გამოსაყენებელი ვეტერინარული სერტიფიკატების ფორმებისა და მათი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №430 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქტების ექსპორტის დროს გამოსაყენებელი ვეტერინარული სერტიფიკატების ფორმებისა და მათი გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №430 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 14/01/2011, 340030000.10.003.016172) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქტების ექსპორტის დროს გამოსაყენებელი ვეტერინარული სერტიფიკატების ფორმებისა და მათი გაცემის წესის“:

1. მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „რ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„რ) ვეტერინარული სერტიფიკატი თევზისაგან წარმოებული სურსათის, კიბოსნაირების, მოლუსკების, რეწვის სხვა ობიექტებისა და მათი გადამუშავების პროდუქტების ევრაზიის ეკონომიკური კავშირის საბაჟო ტერიტორიაზე ექსპორტისათვის (დანართი №17);“.

2. მე-3 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ჭ“, „ხ“, „ჯ“ და „ჰ“- „ჰ^{9}“ ქვეპუნქტები:

„ჭ) ვეტერინარული სერტიფიკატი საქართველოდან ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში დაუყოვნებლივ დასაკლავ მსხვილფეხა პირუტყვის ექსპორტისათვის (დანართი №30);

ხ) ვეტერინარული სერტიფიკატი საქართველოდან ექსპორტირებულ დათვებზე საბერძნეთის რესპუბლიკაში (დანართი №31);

ჯ) ვეტერინარული სერტიფიკატი ევრაზიის ეკონომიკური კავშირის საბაჟო ტერიტორიაზე საკლავი მსხვილფეხა პირუტყვის, ცხვრის და თხის ექსპორტისათვის (დანართი №32);

ჰ) ვეტერინარული სერტიფიკატი ევრაზიის ეკონომიკური კავშირის საბაჟო ტერიტორიაზე სანაშენე და სამომხმარებლო ღორის ექსპორტისათვის (დანართი №33);

ჰ^{1}) ვეტერინარული სერტიფიკატი ევრაზიის ეკონომიკური კავშირის საბაჟო ტერიტორიაზე საკლავი ღორის ექსპორტისათვის (დანართი №34);

ჰ^{2}) ვეტერინარული სერტიფიკატი ევრაზიის ეკონომიკური კავშირის საბაჟო ტერიტორიაზე შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად დროებით შესაყვანი სპორტული ცხენ(ებ)ის ექსპორტისათვის (დანართი №35);

ჰ^{3}) ვეტერინარული სერტიფიკატი ევრაზიის ეკონომიკური კავშირის საბაჟო ტერიტორიაზე საკლავი ცხენ(ებ)ის ექსპორტისათვის (დანართი №36);

ჰ^{4}) ვეტერინარული სერტიფიკატი ევრაზიის ეკონომიკური კავშირის საბაჟო ტერიტორიაზე ერთდღიანი წიწილის, ინდაურის, იხვის, ბატის, სირაქლემის ჭუკებისა და ამ სახის ფრინველების საინკუბაციო კვერცხის ექსპორტისათვის (დანართი №37);

ჰ^{5}) ვეტერინარული სერტიფიკატი ევრაზიის ეკონომიკური კავშირის საბაჟო ტერიტორიაზე ტყავის, რქა-

ჩლიქის, ნაწლავის, ბეწვეულის, საქურქე და კრაველის ნედლეულის, მატყლისა და თივთიკის, ცხენის ძუას, ქათმის, იხვის, ბატის და სხვა ფრინველის ფრთა-ბუმბულის ექსპორტისათვის (დანართი №38);

ჳ[6]) ვეტერინარული სერტიფიკატი ევრაზიის ეკონომიკური კავშირის საბაჟო ტერიტორიაზე ცხოველური წარმოშობის, მათ შორის, ფრინველისა და თევზისაგან მიღებული საკვებისა და საკვებდანამატების ექსპორტისათვის (დანართი №39);

ჳ[7]) ვეტერინარული სერტიფიკატი ევრაზიის ეკონომიკური კავშირის საბაჟო ტერიტორიაზე თევზის, ზღვის ძუძუმწოვრების, კიბოსნაირების და უხერხემლოებისაგან მომზადებული საკვები ფქვილის ექსპორტისათვის (დანართი №40);

ჳ[8]) ვეტერინარული სერტიფიკატი ევრაზიის ეკონომიკური კავშირის საბაჟო ტერიტორიაზე მცენარეული წარმოშობის ცხოველის საკვების ექსპორტისათვის (დანართი №41);

ჳ[9]) ვეტერინარული სერტიფიკატი ღორის ემბრიონის ევრაზიის ეკონომიკური კავშირის საბაჟო ტერიტორიაზე ექსპორტისათვის (დანართი №42).“.

3. დადგენილების დანართი №17 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

4. დადგენილებას დაემატოს დანართები: №30, №31, №32, №33, №34, №35, №36, №37, №38, №39, №40, №41 და №42 და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**